წერილის ნომერი: **30-302317151**
თარიღი: **20/06/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გთხოვთ მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე“.

როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს მიერ შეტანილია საკრებულოს მ/წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. მაგრამ ობიექტურ მიზეზთა გამო, კერძოდ შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით 3-ერთეული ავტობუსის შეძენის დაფინანსების საავანსო ღირებულება (40%-ი) თანხა (სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე) განისაზღვრა 350.0 ათასი ლარით. მიმდინარე წელს გაფორმებული N156 ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შეძენილი იქნება 5 ერთეული ავტობუსი თანხით 1717.5 ათასი ლარი, აქედან 2 ერთეული ავტობუსის შეძენა თანხით 687.0 ათასი ლარი დაფინანსდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო 3 ერთეულის შეძენას თანხით 1030.5 ათასი ლარი განახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომლის 40%-ი 412.2 ათასი ლარი ავანსის სახით მიმიდნარე წელს უნდა ჩაერიცხოს მომწოდებელს.

იმისათვის რომ ხელი არ შეეშალოს მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევის - საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესყიდვას, აუცილებელია 27 ივნისისთვის საკრებულომ შეძლოს ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცება. აღნიშნულის განსახორციელებლად კი საჭიროა რიგგარეშე სხდომაზე დაიწყოს ბიუჯეტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებიოთ ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდგომ საკრებულოს 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში ხსენებული საკითხი ჩანაცვლდეს შემდეგი საკითხით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების დამტკიცების შესახებ“

შემოვდივართ წინადადებით, მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 63.0 ათასი ლარით, ხოლო დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს სხვა შემოსავლები 63.0 ათასი ლარით სანებართვო მოსაკრებლის გეგმის ზრდის ხარზე.

ორივე საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას კანდიდატურას.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

წერილის ნომერი:**05-302317143**
თარიღი: **20/06/2023**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2023 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ;

შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით 3-ერთეული ავტობუსის შეძენის დაფინანსების საავანსო ღირებულება (40%-ი) თანხა (სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე) განისაზღვრა 350.0 ათ.ლარი. მიმდინარე წლის გაფორმებულ N156 ხელშეკრულების თანახმად მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შეძენილი იქნება 5 ერთეული ავტობუსი თანხით 1717.5 ათ ლარი, აქედან 2 ერთეული ავტობუსის შეძენას თანხით 687.0 ათ.ლარი დაფინანსდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო 3 ერთეულის შეძენას თანხით 1030.5 ათ.ლარი განახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომლის 40%-ი 412.2 ათ.ლარი ავანსის სახით მიმიდნარე წელს უნდა ჩაერიცხოს მომწოდებელს.

აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლი უნდა გაიზარდოს 63.0 ათ.ლარით, ხოლო დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს სხვა შემოსავლები 63.0 ათ.ლარით სანებართვო მოსაკრებლის გეგმის ზრდის ხარზე.

აუცილებლობიდან გამომდინარე ბიუჯეტში აღნიშნული ღონისძიებების ასახვის მიზნით მოწვეული იქნეს რიგგარეშე სესია.

პატივისცემით,

როლანდ ლაშხია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი